# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 185 პარასკევი, 21 აგვისტო 1909 წ. № 185

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიჟში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდ [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროება

**ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული**

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

გულ-დაკოდილი მშობელნი **ქრისტეფორე აბრამის ძე და ეფემია ლავრენტის ასული ზარაფიშვილები შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მიმდინარე წლის მარიამობისთვის ოცდა ოთხს თელავის საკრებულო ტაძარში გარდახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პეტერბურგში უდროვოდ გარდაცვალებულის მათის საყვარელის ასულის

ელენეს

სულის საოხად. (1—ფ.—1)

**დავით ოტიას ძე თ-დი ნიჟარაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 აგვისტოს სოფელ ოფიშკვითში (ქუთაისის მაზრა) გარდაიცვალა საყვარელი დედა, ჩხეიძის ასული

კნ. ანტონაიდა ნიჟარაძისა.

მხოლოდ 8 დღით

21, 22 24, 25, 26, 27, 28, 29 აგვისტოს და 1 ენკენისთვეში

## ნ. ი. კუნდურის

მაღაზიაში

სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო სახლი.

დაკლებულის ფასით

ქალის საცვალი, ქალის ხალათები და აბანოს პერანგები.

**ჩულქები, წინდები,** შალისა და აბრეშუმის **იუბკები.** (3—ხალ.—1)

ფასები შეუვაჭრებლად

## სამუსიკო სასწავლებელი ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

გადავიდა ახალ ბინაზე: **საპიტრის ქუჩა**, სახლი ძღენტისა, № 18.

მასწავლებელთა სია: (ფორტოპიანოზედ,) კნ. **ბ. ამირაჯიბისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ო. მ. პივოვაროვა-ბერგისა** და **ე. ვ. ფოგელისა**. (ვიოლინოზედ,) **ა. ნ. ყარაშვილი**, (სამუსიკო ელემენტარული თეორია, 1 და 2 კურსი ჰარმონიისა, ენციკლოპედია და ხოროს კლასსები) **ზაქ. პ. ფალიაშვილი**, (ნოტების კითხვა) **გ. ი. ნატრაძე**.

მოწაფეების მიღება დაიწყება ამა აგვისტოს 25-დან, სწავლა 1 ენკენისთვიდან. კანცელარია, როგორც სკოლისა, ისე საზოგადოების გამგეობისა ღიაა დილის 10 ს.-დან 1-მდე და საღამოს 5—7-მდე. (4—ნ.—2)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе.(0—33)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი **ქუთაისში** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—42)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი **ქუთაისში** 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—46)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** გ. მამაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—13)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა შ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გურა ყორდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 140

ახლად გახსნილი
ტფილისის
## კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფელდორთვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—137)

**ივ. გომელაურის მიერ** შედგენილი წიგნი **სკოლებში** შესასწავლი

## ქართველი მწერლები

წიგნი პირველი. მეორე გამოცემა.

იყიდება ტფილისში ქართ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. წიგნი **ყდით** ღირს 70 კ. მაღაზიებს დაეთმობა 20%. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა“ ფასი 4 კაპ. (5—414—2)

## ქუთაისში

30 ივლისს საღამოს 6 საათიდან დაიკარგა ნიკოლოზ ანდრიას ძე გალუევის მოსამსახურე ქალი ლასიანა სეხნიას ასული **რამიშვილი** (გურულია). მნახველს ვთხოვთ, შეგვატყობინოს: ორპირის ქ. საკუთარი სახლი. **ნიკოლოზ გალუევი.** (3—კვ.—3)

ქუთაისში

**ქალთა სკოლა პროფესიონალურ განყოფილებით ნ. ლ. მიქელაძისა**

## გადავიდა

თ-დ ნიჟარაძის სახლში თფილისის ქ., ოლდენბურგის ქ. პირდაპირ. მოსწავლეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1 ენკენისთვეს.

სკოლაში ასწავლიან: ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხელოვნურ ხელსაქმეს და ჭრა-კერვას. ვისაც სურს, გარეშე ამისა ცალკე შეისწავლოს ხელოვნური ხელსაქმე და ჭრა-კერვა, იმათთვის მეცადინეობა იქნება სასწავლებელში ნაშუადღევს 4—6 ს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება თვით სასწავლებელში. (8—კვ.—4)

ქ. ქუთაისში.

**თ. მთავრიშვილის წიგნის**

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი **„გუთანი“**, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—ნ—9)

**გორის მთავრობის ვაჟთა პროგიმნაზიის** პედაგოგიური **საბჭო** აცხადებს, რომ ყველა განყოფილებებსა და კლასებში (მოსამზადებლიდან დაწყებული მეოთხე კლასამდე) არის **ვაკანსიები.**

მისაღები ეგზამენები დაიწყება **26 აგვისტოს. მეორე გამოცდები 24 აგვისტოს.** (5—ფ.—5)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ზაფხულს მიწათმოქმედების ინსტრუქტორის (მიწათ-მოქმედების მთავარსამმართველოსთან პეტერბურგში) ქალანთარის თაოსნობით საზღვარ-გარედ სასოფლო მეურნეობის გასაცნობად გაემგზავრა შიდა რუსეთიდან 17 რუსის გლეხი. ამათ შემოიარეს გერმანია, ინგლისი, შვეცია და დანია. ექსკურსანტები უკვე დაბრუნებულან სამშობლოში. ერთ ექსკურსანტს, ხავრიჩევს, კალუგის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ექსკურსიის შესახებ მოხსენება წაუკითხავს. როგორც ხავრიჩევის მოხსენებიდანა სჩანს, გერმანიას და ინგლისს ექსკურსანტებზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია. სამაგიეროდ,

პატარა, მდიდარ და ნაყოფიერ დანიას ექსკურსანტები აღტაცებაში მოუყვანია. ექსკურსანტებს დანიაში ყველაფერი გაჰკვირვებიათ; რკინის გზების მოწყობილება და წესრიგი, სადაც მოგზაურებს იმდენად ენდობიან, რომ ბილეთებსაც კი არ ჰკითხავენ, ხელოვნურად განაყოფიერებულ მინდვრების მდიდარი მოსავალი, დანიელ გლეხების ძროხების რძის სინოყიერე და სიმსუქნე; დანიელების დახელოვნება მერძეობაში და სხვა. გაჰკვირვებიათ აგრეთვე დანიელ გლეხების ყოფა-ცხოვრება. იმის გარდა, რომ ყოველი დანიელი გლეხი სუფთად და კარგად სცხოვრობს, მას სახლში ოთხი სტოლი უდგია. საწერი, ბავშვებისთვის, ცოლისთვის და სასადილო. სახლის პატრონის ცოლს უსათუოდ პიანინო უდგია. თვით სახლის პატრონს—ფისგარმონია და ბავშვებს—სხვა-და-სხვა საკრავი იარაღი. მათ მეურნეობას ნუღარ იკითხავთ. თვითვეულ გლეხსა ჰყავს ხუთი ძროხა, ორი ცხენი, 50 ღორი, 100 [illegible] და 500 ქათმამდე... ექსკურსანტები ნამეტნავად გაკვირვებულნი არიან იმით, რომ დანიაში ბავშვებს პატარაობიდანვე ასწავლიან სოფლის მეურნეობას. დანიელი შვიდი წლიდანვე იწყებს სასოფლო-სამეურნეო იარაღის ხმარებას და ამ ხნიდანვე იყვარებს სოფლის მეურნეობას. ჯერ კიდევ 7 წლის ბავშვი სათამაშო გუთანსა და სათესს და სამკალ მაშინებს დასტრიალებს, აბამს სათამაშო ცხენებს და ხარებს და გაცხარებული თამაშობს. შემდეგ, როდესაც ბავშვი იზრდება, სკოლებში ხატვას და ხაზვას ისევ ის სოფლის მეურნეობა აქვს სახეში. ამ რიგად, დანიელი ყმაწვილი გაზრდისათანავე მამის თანაშემწედ ხდება და ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან უკვე კარგად იცის სასოფლო-სამეურნეო იარაღის ხმარება. ექსკურსანტებს აგრეთვე მოსწონებიათ შვეცია. აქ მათ ყურადღება მიუქცევიათ თიხის შენობებისთვის, რომელიც მთელ საუკუნოებს სძლებს თურმე. ხავრიჩევის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. განზრახული აქვთ, იშუამდგომლონ სამინისტროს წინაშე, რომ ხავრიჩევს დახმარება მიეცეს დაიაროს სოფლებში და გლეხებს გააცნოს საზღვარ-გარეთულ გლეხთა ყოფა-ცხოვრება.

ექსკურსანტებს დანიაში, სხვათა შორის, დაუთვალიერებიათ მეფის სასახლე. ამ სასახლეში ინახება სხვა და სხვა ძვირფასი ნივთი, ხელოვნური ნაწარმოები და სხვა. გლეხები ძალიან გაკვირვებულან, როდესაც ეს სასახლე დაუთვალიერებიათ, მაგრამ იმდენად იმის მოწყობილებითა და ხელოვნებით არა, რამდენადაც იმით, რომ ნივთები სტოლებზე ალაგია, არავინ ყურის მგდებელი არ არის, ყველა დაუკითხავად შედის და გადის და, მიუხედავად ამისა, არავინ არაფერს იპარავს. მეო, უთქვამს ხავრიჩევს, ეს სასახლე კარგად ვერ დავათვალიერე, რადგან სულ ჩვენებს ვადევნებდი თვალ-ყურს. მეშინოდა, ჩვეულებას არ წაეძლია და არაფერი ჩაეჯიბათო.

# დეპეშები

(პეტ. ტელ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 აგვისტო

## სპარსეთი

**თეირანი.** ამას წინად დაპატიმრებულს დაგეშაჰსა და მეჯლის-სლამის პოლიტიკურ სასამართლოს თავმჯდომარეს ნამყოფს, გაზეთი „ნიზაი-ვატანის“ გამომცემელს მოაიედულ-სოლტანეს გადაუწყვეტეს სამუდამო განდევნა სპარსეთიდან. თითონ მოაიედულ-სოლტანი სასამართლოში არ გამოცხადებულა. ყოფილ შაჰის ბიძა ნაიბუს-სალტანე, ბაგადურ-ჯენგი, გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი საად-ედ-დოულე, სადრაზამად ნამყოფი, ფინანსთა მინისტრი და ყოფილ შაჰის ცხრა მომხრე, აგრეთვე ზარაფ-ხანის მოიჯარადრე ხაჯი-იზმაილი, რომელთაც სასჯელი მიესაჯათ, ბესტში სხედან. ოსმალეთისა და რუსეთის მისსიებთან ამნისტიას მოელიან ხვალ, 12 იმამის დღესასწაულს.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** სულთანი „ერტოგრულის“ იახტით ბრუსსაში წავიდა. თან ახლავენ მემკვიდრე იუსუფ-იზზედინი, დიდი ვეზირი და ამალა. დილის 10 საათზე სულთანი მუდანიაში მივიდა. იქიდან რკინის გზით ბრუსსაში წავიდა. იქ დახვდნენ ადგილობრივი მოხელენი, ჯარი და მრავალი ხალხი. სულთანმა დაათვალიერა სარეწველო გამოფენა. სულთანის დაბრუნებას მოელიან 22 აგვისტოს. მინისტრთა საბჭოში ხილმი-ფაშის წასვლის გამო, თავმჯდომარეობს შეიხულ-ისლამი.

იემენში, გაიდენს, უკვე გაგზავნილ ორი პოლკის გარდა, გაისტუმრეს ქვეითა ჯარის 10 ბატალიონი და ორი ბატარეია.

## გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** „სეპარატორის“ სააქციონერო საზოგადოების 750 მუშა სტოკჰოლმში მუშაობას შეუდგა. როგორც ამბავი მოვიდა, მუშაობა განახლებულა პროვინციის სხვა და სხვა ქალაქში.

## საზღვარ-გარედ.

**ბუდაპეშტი.** საერთა-შორისო სამკურნალო კონგრესის ბიურომ პარიზის პრემია, 3000 ფრანკი, მიუსაჯა ბელგიელ პროფესორს ბორდეს და გერმანელ პროფესორს გერტვიგს.

**მელილია.** მაროკოელები დაეცნენ სოფელ ახადარას. ესპანელების ჯარმა უკუ-აგდო მტერი.

**ბუდაპეშტი.** სამკურნალო კონგრესზე ექიმმა ბოშფორმა (ლონდონელია) წაიკითხა მოხსენება კუს ექიმობის შესახებ. მომხსენებლის აზრით, არავითარი საბუთი არ არის ვიფიქროთ, რომ ეს ავადმყოფობა მემკვიდრეობით გადადის. ბევრს ეცადნენ, რომ კუს შრატი მოემზადებინათ, მაგრამ არაფერი გამოვიდაო. პარიზელმა ექიმმა დონმაკ წაიკითხა მოხსენება კუს ექიმობაზე. იმის აზრით უკვე გადასწყდა საკითხი კუს მორჩენის შესახებ. ათი წლის პრაქტიკამ დაამტკიცა ჩემის საშუალების ([illegible]) ნაყოფიერებაო. მომხსენებლის აზრით, კუს ავადმყოფობის დროს აცრამდე ოპერაცია არ უნდა გაკეთდეს.

**ათინა.** ათინის სააგენტო აცხადებს: გამოირკვა, რომ სამხედრო მოძრაობას აზრადა ჰქონდა, გამოეწვია ჯარის რეორგანიზაცია და რეფორმები მართვა-გამგეობაში; იგი დინასტიისა ან კონსტიტუციის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. მავრომიხალისმა, რომელმაც იკისრა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და მოლაპარაკება გამართა ოფიცრებთან, დიდი განსაცდელი და სისხლის ღვრა აცდინა სახელმწიფოს. ფიქრობენ, რომ პალატა მინისტრ-პრეზიდენტს ნდობას გამოუცხადებს და დაეხმარება ახალ კანონ-პროექტების განხორციელებაში. ეს კანონ-პროექტები შეეხება ჯარის გაძლიერებას, ეკონომიურ რეფორმებს, მართვა-გამგეობის საქმის გაუმჯობესებას, გადასახადებს და სესხებს.

მინისტრ-პრეზიდენტი ფიქრობს, ამ საქმეში არავის დაეთმოს. იგი თანამდებობას თავს დაანებებს, თუ პარტიულმა ინტრიგებმა ხელი შეუშალეს.

**ბელგრადი.** მინისტრთა საბჭოში კვლავ გაჩნდა უთანხმოება; ამიტომ კაბინეტმა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა გადასცა მეფეს. მეფემ ახალ კაბინეტის შედგენა მიანდო პაშიჩს და სტოიანოვიჩს. ამათ 24 საათი ითხოვეს მოსაფიქრებლად.

**კოპენჰაგენი.** დანიელთა გემი „განსეგედა“, რომელიც გრენლანდიის საკოლონიო გამგეობას ეკუთვნის და რომელიც ვერეიკში მოვიდა, იუწყება: ამერიკელი მოგზაური კუკი, რომელიც 1908 წელს 8 აპრილს ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაემგზავრა, 1909 წლს მივიდა ჩრდილოეთ პოლიუსზე. კუკი იორკის კონცხიდან უპერნივიკში მივიდა.

**რომი.** უკანასკნელ მიწის ძვრის დროს უბედურება არა მომხდარა-რა.

**მექსიკა.** მონტერეიში ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს 1000 გვამი.

**როტტერდამი.** ოფიციალურ ცნობებით, ხოლერიანთა ბანაკში ამ ჟამად 18 ხოლერიანი. საექვო 74 კაცია. ახლად აღარავინ გამხდარა ავად.

**ვენა.** ვენის პოლიციის უფროსმა გამოაცხადა: რადგან უკანასკნელ დემონსტრაციების დროს, ძალადობა იქმნა ხმარებული, ამიერიდან ბრბოების გასაფანტავად სასტიკი ზომები იქმნება მიღებული. პოლიციის პრეზიდენტის მოადგილემ ბარონმა გორუპმა პრესსის წარმომადგენლებთან საუბრის დროს სთქვა: ნაციონალურმა დემონსტრაციებმა ქუჩურ არეულობის ხასიათი მიიღეს, რაც საზღვარ-გარედ სახელს უტეხავს ავსტრიის სატახტო ქალაქსაც. ბრბო ამ ბოლო დროს იკლებდა ჩეხელთა დაწესებულებებს, მაგრამ იგი არც გერმანელთა ქონებას ზოგავდა.

## რუსეთი

**სიმფეროპოლი.** საგუბერნიო ცნობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად კვლავ რიკოვი აირჩია.

**ბალახნა.** სოფელ ბურცევში გადაიწვა 24 სახლი და მრავალი ძნა, აგრეთვე სავოლოსტო გამგეობა, ქსენონი, სამკითხველო, ბიბლიოთეკა ყოველ გვარ მოწყობილებით და წიგნებით. ზარალი დიდია.

**ტამბოვი.** დიდ სავაჭრო სოფელში მარდაში (ტამბოვის მაზრა) საბაზრო მოედანზე გადაიწვა დუქნები და საწყობები. დაიწვა ეკლესიაც: დაიღუპა ერთი კაცი. ზარალი დიდია.

**ვოზნესენსკაია** (ყუბანის ოლქი). პერეპრავნაიას სტანიცაში დაიწვა 77 სახლი.

## ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 31, გარდაიცვალა 12, ავად არის 302 კაცი.

**რიგა.** ავად გახდა 17, გარდაიცვალა 3 კაცი, ათი დღის განმავლობაში სულ ავად გახდა 21, გარდაიცვალა 6 კაცი.

**იაროსლავი.** იაროსლავის გუბერნია ხოლერის მხრივ სამშვიდოდ სცნეს.

**კოსტრომა.** ქალაქში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1 კაცი, მაზრაში—1.

**არხანგელსკი.** პინეგის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**პერმი.** არხანგელოპეტის ქარხანაში გარდაიცვალა 1 კაცი.

# ცდა ხორბლის თესვისა ლევიცკის მიხედვით

გაზეთის საშუალებით მსურს გავუზიარო მკითხველს ჩემი ცდა პურის თესვისა ბ-ნ ლევიცკის საშუალებით. შარშან, 1908 წელს, პირველ აგვისტოს დავთესე ოცდა თორმეტი ორმო ორ ბარის პირზე კარგად განარბილებულს მიწაში სხვა და სხვა ჯიშის პური. თითო ორმოში ჩავაგდე სამი მარცვალი: დოლის პური, დიკა, უფხო, სვილა, თავთუხი, ჩვენებური ქერი, გიმალაის უქერქო ქერი, ხოლო გაზაფხულიდან—სიმინდი, გოლიანი, ცოცხი სიმინდის მაგვარი, ფეტვი ორი ჯიშისა და ოცი ორმო კარტოფილი. ამ ნათესისაგან, რომელზედაც ფულად ბევრი არა დამიხარჯნია-რა, გარდა ჩემი შრომისა, ჩემის გატაცებულ და გახარებულ იმედით

მოველოდი მიმეღო, როგორც გაზეთებში იყო გამოცხადებული: 25 ორმოდან 175 ფუთი ხორბალი, ორ ორმო ქერიდან—14 ფ. ასევე სიმინდფეტვიდან და ოც ორმო კარტოფილიდან—50 ფ.. ვფიქრობდი, თუ გასასყიდი არა, ჩემთვის სამყოფი სარჩო მაინც მომივა და ესეც კარგია მეთქი. თესვის და მოვლის დროს ვიქცეოდი ისე, როგორც ქართულ გაზეთში იყო გამოცხადებული. ვფიქრობდი, თუ რასაც ამბობდნენ, გამართლდა, ქვეყნისთვის დიდი შვება იქნება მეთქი: ნაკლების შრომით და უდიდესის პურის მოსავლით დაიაფდება ხორცი, გამრავლდება საქონელი და ფრინველი, რადგან მეტი მინდვრები გადავა საძოვრად, გაიაფდება რძე, კვერცხი, ცხენისა და საქონლის ქირა. მუშა ხელი, რომელიც აქამდის მეტს დროს ანდომებდა პურის საშოვნელ გზას, მიუბრუნდება სხვა და სხვა საუკეთესო და საოჯახო საქმეს. ველირსებით ისეთ სიკეთეს როგორც ჩვენ კუთხეს მოუტანა ამ დალოცვილ პამიდორის შემოღებამ: აქამდის თუ ჩვენი ღარიბი მუშა ხალხი ცარიელ პურსა ხრავდა, ეხლა პამიდორი ყოველ შემთხვევაში დიდს შეღავათს აძლევს. სწორედ ასეთსავე სიკეთეს მოველოდი პურის თესვისაგან ბ-ნ ლევიცკის საშუალებით, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმედი არ გამიმართლდა.

პურის თესვა დავიწყე პირველ აგვისტოდან, მაგრამ სამწუხაროდ, გვალვა დაერთო. ამოვიდა გვიან, ისიც ვერ იყო კარგი. თითო ორმოში ჩავსვი სამი მარცვალი იმ ფიქრით რომ გამარგვლაში დამეტოვებინუკეთესი, ან მეტი მეხმარებინა გადასარგავად, სიხარულით ვადევნებდი თვალ-ყურს. ვნახე—ხან ერთი გადასჭრა ქიამ—თაგვმა—ბოსტანამ, დაცარიელდა ხან ერთი ორმო, მეორე, მესამე. მიჰყო და ბოლოს ერთი ორმოდა გადარჩა სამის ძირის საკმაოდ გაღონივრებულ სვილა პურით. ამან გამიკეთა გული საცდელის დასამტკიცებლად. აქედან გადავრგე ორი ძირი მახლობელ ორმოებში 20 თებერვალს 1909 წ. შემდეგ ვნახე, რომ ერთი ძირი გადარგულისა გაზრდილა კარგად, მეორე გადარგული და პირველი ალაგობრივი კი ცუდად და ერთნაირად.

პირველად შემოვაყარე მიწა სამ მარტს. ჰქონდა ხუთი ღერო გამოტანილი. 26 მარტს, როცა გაუხდა 12 ღერო, გადავაწვინე. 7 აპრილს მიწა შემოუსწორე და ღერო დავთვალე, იყო 19, მეორედ შემოვაყარე მიწა 14 აარილს, ღერო ჰქონდა 25. აპრილის 18-ს გადავაწვინე 28 ღერო. მესამედ მიწა შემოვაყარე 4 მაისს, ჰქონდა 41. მეოთხედ შემოვაყარე 21 მაისს, ღერო ჰქონდა 58. ამ დროს თავთავი შევიდა ყვავილში, რომელიც ჰქონდა გაკეთებული ერთს მესამედს წინა ამოყრილ ღეროებს. თავთავის სიგძე იყო ხუთი ვერშოკი. თითონ ყანა არ გაზრდილა საგანგებოდ მაღალი, სამაგიეროდ ისეთი მსხვილი იყო, რომ მნახველს გლეხებს ვერ ვაჯერებდი, რომ ჩვენებური სვილა პური იყო, და მთხოვდნენ, ამ ჯიშის პურის თესლს.

მეორე და მესამე ორმოს ძირებმა გაიკეთეს თითომ 4—7 ღერო. ძლივს ღანღალით მივიდნენ 20 ღერომდის და შევიდნენ კიდეც სიყვითლეში. 21 მაისის შემდეგ არც ერთმა ძირმა არ მომცა იმედი ბლარტის მომატებისა და მივანებე თავი, რადგან დავრწმუნდი, რომ ამ ცდამ ვერაფერი სარგებლობა მომიტანა. თუმცა კი უნდა ვთქვა, რომ რაღაცა სიმართლესთან უნდა იყოს მიახლოვებული, მაგრამ რადგან ჩვენ ჯერ არაფერი გვაქვს გამოკვლეული, არ ვიცით ჩვენებურ ჰავასა და ნიადაგს რა მოუხდება და რა არა, ან როდის შემოეყაროს მიწა (განსაზღრულ 21 დღეს, ჩემის აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სხვა და სხვა მცენარეს ბევრ მიზეზისა გამო აღზრდის კანონი ეცვლება, მაშასადამე თითონ მცენარემ უნდა შეგვატყობინოს, რა დროს რა შეუსრულოთ), ამიტომ ჯერ-ჯერობით ცდას ნაყოფი არ მოაქვს.

როგორც სწერდნენ და ამბობდნენ, ბევრი სხვაც შეუდგა ამ სისტემით ცდას. საჭიროა გაზეთის საშუალებით გამოაცხადონ ამათ, როგორ ჩაუარათ ცდამ. მე კი მაინც არ ვიშლი იმედს და ამ აგვისტოს პირველიდან დავთესე კიდევ ოციოდე ძირი. ეხლა არის სიმაღლით ერთ ვერშოკამდის, მაგრამ თუ ისევ შარშანდელი ხელმძღვანელობა გავწიე, ვიცი, არა გამოვა რა; ამისათვის და და თვით საქმისათვის საჭიროა, ყველამ, ვისაც კი ცდამ კარგად ჩაუარა, ან ვინც იცის ნამდვილი ვითარება საქმისა, ან თუ არის ამაზე წიგნაკები, გამოაცხადოს და მოგვაწოდოს ცნობები გაზეთ „დროების“ საშუალებით. ამის გარდა, ჩვენი სოფლის საზოგადოება აცხადებს, რომ ჯამაგირს დაუნიშნავს ისეთს კაცს, ვინც იცის ასეთის ხელოვნებით პურის მოყვანა და ისურვებს მუშაობას თელავის მაზრაში (ჩვენი სოფელი კონდოლია). საცდელ ალაგს არავინ დაუჭერს. მიღალატა კარტოფილმაც. თითო ორმოში ჩავთესე ხუთი ცალი კარტოფილი, თითო გირვანქამდის ორმოში. ამოვიღე ექვსი-შვიდი ცალი. სიმინდს და ფეტვს არა უშავს-რა, მაგრამ ალბად იცოდა, რომ არც იქიდან გამოვიდოდა ბევრი რამე და მთლად ცხენმა გადამიძოვა. ამით დაბოლოვდა ჩემი ცდა.

როგორც მაშინ გვიკვირდა ზღაპრული მოსავალი, ისე ეხლა გვიკვირს, რომ მთელი მიწა, რაც რამ იმ დასათეს ორმოდან ამოვა, ის არ გამოვა წონით შვიდი ფუთი და საიდან დავიჯეროთ, რომ ერთს ორმოს შეუძლიან გაზარდოს ერთ მარცვლიდან იმოდენა ბუჩქი ყანა, რომ მშრალი ხორბალი გამოვიდეს შვიდი ფუთი? თუნდაც რომ ერთს ორმოს, ე. ი. ერთ ოთხ-კუთხ საჟენ მიწაზე მოვიდეს ათი გირვანქა ხორბალი, მაინც დიდი საქმეა—დესეტინა მოიცემა 600 ფუთს, 200 კოდს. არც ამის ნახევარს დავიწუნებთ. **ალექსანდრე ლიონიძე.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **ფულის გამტაცებელთა შეპყრობა.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ რამდენიმე ხნის წინად ვიღაცეებმა შუა აზიის რკინის გზიდან ერთ მილიონ მანეთამდე გაიტაცეს. პოლიციას გაუგია, რომ ფულის გამტაცებელნი ტფილისში არიანო. ამ საქმის გამორკვევა პოლიციმეისტერს ერთ ბოქაულისთვის მიუნდვია. ბოქაულმა რამდენიმე ხნის შემდეგ დააპატიმრა რამდენიმე კაცი და გაიგო დაწვრილებით, თუ როგორ გაიტაცეს ფული. საქმე ამნაირად ყოფილა: ამა წლის იანვარში პეტერბურგიდან კრასნოვოდსკზე უნდა გაეტარებინათ კარგა ბლომა ფული. ეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს ალექსანდრე პავლეს ძე თოფურიძეს და ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ პეტრეს ძე ივანოვს გაუგიათ. მათ საჩქაროდ შეუდგენიათ ბრბო და წასულან კრასნოვოდსკში ფულის გასატაცებლად. კრასნოვოდსკში მათ მოუცდიათ იმ მატარებლისთვის, რომლითაც ფული მიჰქონდათ, წინდაწინვე დამზადებულ გასაღებით ივანოვს, დარაჯების გაუგებრად, გაუღია ფულის ვაგონის კარები და შიგ დამალულა. როდესაც მატარებელი დაძრულა, ივანოვს მუშაობა დაუწყია, გაუხვრეტია ვაგონი და დანიშნულ ადგილას პარკში ჩაწყობილი 450,000 მანეთი გადმოუგდია. ფულის გადმოგდების შემდეგ თვითონაც გადმომხტარა. აქ მას უცდიდა თურმე ორი ამხანაგი და მათის შემწეობით ფული იქვე ჩაუფლავს. ჩაფლულ ფულის ყურისგდება დაუვალებიათ ერთ ამხანაგისთვის, ეს სადგურ ჩარდჟუიზე სცხოვრობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ივანოვი თავის ამხანაგებით წასულა ამ ადგილას, ამოუთხრია ფული და გაუყვიათ. ზოგიერთს ამ ფულით ტფილისში გაუხსნია გასართობი ბაღი, რამდენსამე—საგასტრონომიო დუქანი და სხვა. ამავე პირებს 1908 წელს, ფოსტის მოხელეების შემწეობით, სადგურ ტაშკენტს და ჩარდჯუის შუა გაუტაცნიათ 330,000 მანეთი. გაჩხრეკის დროს ბრბოს ზოგიერთ წევრებს გატაცებული ფული აღმოაჩნდათ. ამას გარდა ამ ბრბოს, პოლიციის ცნობით, რუსეთის დიდ ქალაქებში სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ჩაუდენია.

◆ **ქალაქის ადგილების მითვისება** როგორც ვიცით, ტფილისში ბევრნი ითვისებენ ქალაქის ადგილებს. უმთავრესი მიზეზი ის არის, ქალაქის თვითმმართველობას დღემდე არა აქვს საინვენტარო წიგნები, სადაც სავსებით და სისწორით იყოს აღნუსხული ქალაქის ქონება ადგილებიდან მოკიდებული პატარა ნივთამდე. ამ რამდენიმე წლის წინად საბჭომ აირჩია კომისია და დაავალა ქალაქის მთელი ქონების აღნუსხვა და საინვენტარო წიგნებში შეტანა. ამდენი ხანი გადის და არავინ იცის, რას აკეთებს ეს კომისია.

◆ **სავალდებულო დადგენილებანი.** გუშინდელ „კავკ.“-ში დაბეჭდილია სავალდებულო დადგენილებანი ქალაქ სოხუმსა და სოხუმის ოლქის შესახებ. ამ დადგენილებით აკრძალულ იქნება კრებები, ყრილობები, იარაღის ტარება და სხვა.

◆ **ახალი საავადმყოფო.** აზრადა აქვთ თიანეთის მაზრაში, ახმატას გარდა, ერთი სხვა სასოფლო საავადმყოფოც დაარსონ. საავადმყოფოსთვის ორი სოფელია დასახელებული—თიანეთი და ხევსურთა სოფელი.

◆ **ქართული გიმნაზია.** ქართულ გიმნაზიაში დამატებითი ეგზამენები დაიწყო 19 აგვისტოს. ეგზამენები გასტანს 27 აგვისტომდე. წელს პირველ მოსამზადებელ კლასში 100 თავისუფალი ადგილია. მთხოვნელი ხუთჯერ მეტია. დამატებით ეგზამენებს არ დააჭერინებენ იმათ, ვინც დარჩენილ სასწავლო ფულს არ წარადგენს. სწავლის დაწყების დროსთვის ფული უნდა შეიტანონ დანარჩენმა მოწაფეებმაც.

◆ **ბოქაული სამართალში.** ტფ. ს. გუბერნიის გამგეობას გამოძიება დაუნიშნავს მეოთხე ნაწილის ბოქაულის ტერ-მარტიროსოვის მოქმედებათა გამოსარკვევად. ბოქაულს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ჰბრალდება.

◆ **გორის ვაჟთა პროგიმნაზია.** გორის ვაჟთა პროგიმნაზიაში წელს მეოთხე კლასიც გაიხსნება. მისაღები ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოს, ხოლო ხელმეორე გამოცდა—21 აგვისტოს.

◆ **ციხის ზედამხედველის მოკვლა.** გორში 15 აგვისტოს ხიდთან ვიღაცებს მოუკლავთ გორის ციხის ზედამხედველი კვიჩენკო. სამჯერ უსროლიათ რევოლვერი. მსროლელნი მიმალულან.

◆ **წიგნები მეტეხისთვის.** ჩვენმა რედაქციამ მეტეხის ციხის წიგნთსაცავისთვის ბ-ნ ვანო დუშურაშვილისაგან მიიღო შემდეგი წიგნები: „ვეფხის ტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძის თხზულებანი: „კაცია ადამიანი“, „ქვათა ღაღადი“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, „გლახის ნაამბობი“, „სახრჩობელაზე“, „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „უცნაური ამბავი“, რჩეული ლექსები, „განდეგილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“; ი. გოგებაშვილის „ასპინძის ომი“, ჭონქაძის „სურამის ციხე“, ანდრიანოვისა „ლექსები უბის წიგნიდან“, ლიბკნეხტისა „პარიჟის რევოლიუცია“, აკაკის რჩეული ლექსები, მოკლე ისტორია საქართველოსი, რუსეთის დამყარება საქართველოში.

◆ **„ფასკუნჯი“.** ოქტომბრიდან ხელახლა გამოვა ჟურნალი „ფასკუნჯი“, შეცვლილის სახით: ჟურნალი იქნება ყოველთვიური, ხოლო შინაარსით წინანდებურად მხოლოდ სალიტერატურო-სამხატვრო. ყოველ ნომერში მოთავსდება სურათები გამოჩენილ მხატვრებისა.

◆ **დირექტორის გადაყვანა.** ტფ. სამოსწავლო სემინარიის დირექტორი მირონოვი ორენბურგის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორად გადაიყვანეს.

◆ **უპასპორტოები.** 19 აგვისტოს ჩხრეკის დროს შუა ბაზარში დააპატიმრეს 18 უპასპორტო კაცი, მე-9 საპოლიციო ნაწილში—15 კაცი და მე-10 ნაწილში—13.

◆ **დაპატიმრება.** 19 აგვისტოს ბაქოს სადგურზე პოლიციას დაუპატიმრებია ერთი უცნობი. უცნობს აღმოსჩენია რამდენიმე ათასი ცალი რკინის გზის „ნაკლადნოესი“.

◆ **სამეურნეო კურსები.** ქუთ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით [illegible] სასულიერო სემინარიასთან სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის მოეწყო სამეურნეო კურსები. კურსები 27 აგვისტოს დაიწყება და 5 სექტემბრამდე გასტანს.

◆ **ელექტრონის სადგური.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა შეუთანხმდა ელექტრო-ტეხნიკოსს ბ-ნ სულხანიშვილს, რომელთან ერთადაც უნდა აიღოს იჯარით თავად-აზნაურთა საელექტრონო სადგური.

◆ გუშინ, 20 აგვისტოს, ტფილ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ერთი მოხელე უცბად ავად გამხდარა. ამხანაგები დაფაცურდნენ და მიუმართავთ კანტორის მახლობლად მდგომ ექიმისათვის, მაგრამ მას უარი განუცხადებია, სახლებში არ დავდივარო. მოხელენი იძულებულნი გამხდარან, სხვა ექიმისთვის მიემართნათ.

◆ ბანძელებმა (სენაკის მაზრა) შუამდგომლობა აღძრეს, ამ სოფელში არსებული საფოსტო განყოფილება გადაკეთებულ იქმნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებად. ადგილობრივ ფოსტის უფროსის გამოანგარიშებით ამ საქმისთვის სოფელმა უნდა გადაიხადოს წლიწადში 1875 მანეთი.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ განცხადება მიიღო ქალაქის ფარმაცევტის აგეტიქიანცისაგან. ფარმაცევტი სთხოვს გამგეობას, უნივერსიტეტში მინდა წავიდე და გთხოვთ, ვიდრე სწავლას დავასრულებდე, უჯამაგიროდ ადგილი შემინახოთ. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი თანახმაა ასეთი განცხადებისა.

◆ ქალაქის წყლის მიღის გამგე ინჟინერმა ბ-ნ ქურდიანმა აცნობა ქალაქის გამგეობას: რადგან მოსკოვისა და საპერნი ქუჩებზე წყლის ონკანები ზარალის მეტს არას აძლევენ ქალაქს, გააუქმოს ონკანები და მეონკანენი სანტრუსიანი, სარქისიანი და ალიხანიანი სამსახურისაგან გაანთავისუფლოს.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობის წევრმა თ. ა. არგუთინსკიმ დაავალა საიჯარო საქმის გამგეს ადგილობრივ გამოარკვიოს რაოდენობა ქალაქის იმ მოიჯარადრეთა, რომელთანაც ქალაქს ხელ-შეკრულება არა აქვს დადებული. ასეთ მოიჯარადრეთა შესახებ ცნობების მოკრება გამგეობას სჭირდება იმიტომ, რომ გადასახადების მოკრების საქმე გააერთიანოს.

◆ 19 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა ჯიბგირები არტაშეს და სტეფანე არუ-

# ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

**ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).**

(შემდეგი*)

III.

აქ კი მაყვალასა და ონისეს გულწარმტაცი მომხიბვლელი ამბავი, ხალხს გასაკიცხავ ლექსების საგნად გაეხადა და „ღიჩაქ-მოხდილის ქალისათვის“ ნათესავთა და მახლობელთა კარიც კი დახშულიყო: „ყველა ამაში ხალხის შეუწყალებლობა გამოითქმოდა იმ პირთა მიმართ, ვინც თემისნობის დიდების დარღვევა და შეურაცხყოფა მოიწადინა. ხალხი, დღემდის გაბრაზებული, მწუხარებით იგონებდა ამ შემთხვევას და მღელვარებდა...“ მაყვალა, თუმც ციხის ნანგრევებში იმალებოდა, მაგრამ ერთხელ ორჯელ შეხვდნენ, დაინახეს და ხალხის „გაბრაზება იქამდის მივიდა, რომ თემის ყრილობამ საქვეყნოდ განშორება მოითხოვა, რადგან მათი სოფელთან სიახლოვეც კი შეურაცხყოფად ჩასთვალეს“. და ჩვენ ვიცით, რომ მაყვალაც დაღუპეს, ონისეც და თვით ონოფრეც, ეს თემის საუკეთესო სიმბოლო და განხორციელება.

განა ასევე არ იქცევა დღევანდელი საზოგადოება, მხოლოდ ერთის განსხვავებით: თემის ბატონობის დროს თემის ყოველი წევრი ერთნაირად განიცდიდა თემის გულისწყრომას, დღევანდელში კი არიან რჩეულნი, რომელთათვისაც ყოველივე ნება-დართულია და დაკანონებული, და არიან დამონებულნი, დიდი უმეტესობა, რომელთათვისაც თვით ბუნებრივი მოთხოვნილებაც კი აღკრძალულია და ამით სიცოცხლე გამწარებული აქვთ. ერთის მხრით არის ზნეობრივი უფლება ბატონთა, მეორეს მხრით ზნეობრივი მოვალეობა ყმათა და მონათა. ამ შემთხვევაში კი ბუნება თავისას შვრება და იმდენად უფრო ფატალურს სახეს ღებულობს, რამდენადაც მის კანონიერ მიმდინარეობას ხელს უშლიან, ისე როგორც მოვარდნილ წყალს ვერ შეაჩერებს ქვიშა და კენჭები, არამედ ერთიორად უფრო ძალას აძლევენ მის მსვლელობას. მაყვალა თითქმის სულით დაავადმყოფდა და „მოძღვარის“ ქადაგების ზედ-გავლენის ქვეშ რელიგიურმა ექსტაზმა მოიცვა. მაყვალა ქვეყნისათვის მოჰკვდა, „განშორებოდა სოფლის ვნებას და, თუმცა ქვეყნად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ფუფუნებისთვის აღარ ეცალა... ამ **ქალს მოეკლა, ჩაემარხა ყოველისფერი, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარეყო კაცის უტკბილესი მოთხოვნილებანი,** და ხორცის მომკვლელი, სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა“. ამგვარად მაყვალა ონისეს წაართვა არა გელამ, არა სხვა და სხვა ტრადიციონალურმა რწმენამ და მოსაზრებამ, არამედ თემის სისასტიკემ, ხალხის უაზრო ჯალათობამ მაყვალა სულის ავადმყოფად შეჰქმნეს, მას სიცოცხლე უკვე მოუსპეს და შმაგად ქცეულმა ონისემ, მოზღვავებულის გრძნობით გალომებულმა და გაბრაზებულმა, მხოლოდ ბეჭედი დაასვა იმ გარდაწყვეტილებას, რომელიც უკვე სისრულეში იყო მოყვანილი. ონისემ მაყვალა გამოასალმა იმ ცხოვრებას, იმ ხორციელებას, რომლისთვისაც „იგი მკვდარი იყო“. ასეთის კატასტროფით გათავდა და უნდა დასრულებულიყო კიდევაც ეს დიადი გრძნობა, დიადი ალი, რომელიც სწვავდა ამ ორს მშვენიერს საუცხოო ქმნილებასა.

მთელი ძლიერება ყაზბეგის ნიჭისა აქა სჩანს, სწორედ აქა სჩანს, ამ უცნაურის გრძნობის სრულს სისტემაში, რომელიც მან მოგვცა. იშვიათად ვისმე აუწერია და დაუნახავს ჩვენთვის ასეთი მიუწდომელი იდუმალი ძალა და ენერგია სიყვარულისა. ონისემ მაყვალა წუთისოფელს გამოასალმა, რადგან მაყვალამ დაჰკარგა ის ნაწილი თავის არსებისა, რომელიც ონისეს დიდებულ სანეტარო განძსა და საკუთრებას შეადგენდა; ონისემ დასაჯა, ჯავრი იყარა ამ ქალზე, რომელმაც მიბარებულს საუნჯეს ვერ მოუარა, ვერ უპატრონა, დაღუპა. ონისემ შური იძია, სიცოცხლის მანათობლის ვარსკვლავის მოსპობისათვის. მისი უძლეველი უსაზღვრო გრძნობა დაკმაყოფილებას თხოულობდა. მაყვალას აღგზნებულის გულის მაგიერ მას ცივი მძოვრი დახვდა და ეს მძოვრი მან თავიდან მოიშორა. და არა მარტო ონისემ, თვით ბუნებამ დასაჯა თავისი ურჩი შვილი, თვით მან გასცა პასუხი მაყვალას იმისთვის, რომ მან სიცოცხლე ჩაიკლა თავის არსებაში. ეს უცნაური კავშირი ბუნებისა და ადამიანისა, გრძნობის, სიცოცხლის უარმყოფელის წინააღმდეგ, ტრაგედიულის პაფოსითა და სიმშვენიერითა აქვს გადმოცემული ავტორს. იმ წუთში, როცა მაყვალას მოსპობა ხდება, მოქმედობს რაღაც იდუმალი ძალა, რაღაც მიუწდომელი ნება, რომლის მონაწილეები მხოლოდ შემდეგი გამოირკვევა, იმ წუთში კი მაყვალა ხდება მსხვერპლი ათასგვარ გადაჯვარადინებულ ძალთა, რომელთაც საიდუმლოების ზეწარი აფარია:

> ჩაბნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ განძვინვარებული ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზუზუნი დაიწყო... მცირე ხანი და მას შეუერთდა კივილი ღონე-მიხდილის ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ქღრიალით და ვინ იცის, საით გადაჰქმანჯა. კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია.

აბა გამოიცანით, რა მოხდა და ვინ მოახდინა. მთელის თქვენის არსებით გრძნობთ, რომ მოხდა რაღაც დიადი უჩვეულო და როგორც ყოველ მაგვარი მოვლენა, ესეც გამოუცნობელი ხდება“. ონისე მარტო წარსულის მოგონებით-და სცხოვრებდა, იგი საყვარელ საფლავს ულერსებდა და თავს ევლებოდა. „ნუგეშს მოკლებული ტიროდა მდუღარედ, მწარედ, და გრძნობის გამოსათქმელად მხოლოდ უსიტყვო გმინვას აღმოახდენდა. ხმა იყო ცხარე, მწვავე, ხმა ნამდვილად აღგზნებულის გულისა, რომელსაც იტაცებდა ნიავი, მიჰქონდა თრთოლვით და ბერავს ძახილისათვის კლდეთა და ღრეთა ბანად ზარს აძლევინებდა“. ან კი რაღა დარჩენოდა ონისეს. რაღა იყო მისი დანიშნულება ქვეყნად, ბუნებას იგი დიდის გრძნობის მატარებლად, განმახორციელებლად გაეჩინა, მაგრამ ადამიანთა ბრბომ ამ დიდებულს მოვლენას ხელი შეუშალა, მშვენიერება ბარბაროსულად დამარხა და ონისეს სიცოცხლე რაღა იყო:

> მაყვალა, რაც კი თავი ახსოვდა ონისეს, იყო მისი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილი და, მის სიკვდილთან ერთად ესეც სრულს სიცოცხლეს ვეღარა ჰგრძნობდა. **ყველგან და ყველაფერს მისთვის რაღაცა აკლდა, სისრულეს ვერ შეადგენდა.** მაყვალა იყო ონისესთვის ყოველისფერი და მის **სიკვდილთან ერთად, უბედურს მთიელს აღარაფრისთანა აღარა დარჩენოდა-რა,** რომელსაც მისი შეალერსება შესძლებოდა, მისთვის მზე გაეშუქებინა და ქვეყნისთვის ფასი დაედო... ის იდგა გაყინული, გაცივებული, ტუჩებმოკუმული და იგონებდა იმ ქმნილებას, რომელიც, ბნელს ჩაწყვდიადებულს სამარეში ჩაჭედილი, დღესაც ყველას, ყველაფერს, თავის თავსაც კი ერჩივნა.

ამნაირად, მოისპო ეს ორი უცხო, სილამაზითა და სიყმაწვილით სავსე მინდვრის ყვავილი. დაჰბერა ნიავმა, მოუტანა მათ მაცოცხლებელი წვიმა, გაზარდა, ააყვავილა, შემოსა სიმშვენიერით, თვალწარმტაცი გაჰხადა. გაიარა ბრიყვმა პირუტყვმა და ბინძურის ტალახიანის ფეხებით გასთელა იგინი. თითქო ცხოვრების სამკაულს, ცხოვრების მიზანს, მის წყაროსა და მის სინათლეს არ შეადგენდეს ესგვარი ბუნების შვილები. ონისესა და მაყვალას არსებობას თითქო სიმბოლიური სახეცა აქვსო. ასე მოისპო, ასე შებღალა მთის გმირული, რაინდული, სიმშვენიერითა და სიკეკლუცით აღსავსე ცხოვრება ახალმა ბარბაროსულმა ძალამ, ასე გააცამტვერა, ასე დაასახიჩრა სიწმინდითა და სიმტკიცით გაჭედილი მთის ზნე-ჩვეულება.

ამნაირად, დაგვიხატა ყაზბეგმა ერთი უდიდესი მოვლენა მსოფლიოს ცხოვრებისა — **სიყვარული**. სიყვარული მისთვის ერთი უდიდესი მოვლენაა მსოფლიოში. ჩვენის ლიტერატურის მეთაურების ნამდვილ მემკვიდრეს — სიყვარული მიაჩნია **მგრძნობელობად**, ხორცის ლტოლვილებად და ამ ნიადაგზეა აღმოცენებული, გინდ დამყნილი იდეალური მხარე ამ გრძნობისა—თავგანწირულება, სინაზე, და სიამ-ტკბილობით აღსავსე მორჩილება. ეს გრძნობა სიყვარულისა უცნაურის ძალით არის აღჭურვილი. გამოუცნობელის მომხიბვლელობით შემკული იგი სიცოცხლისა და ცხოვრების გამაცისკროვნებელია და განმანათებელი. აქ ვერავინ ვერ გაუძლებს ბრძოლაში და თუ ეს ბრძოლა პატიოსან მტერთა შორის არის, შეუძლებელია არ გათავდეს იმის გამარჯვებით, ვინცა სცდილობს მეორე დაიმონოს, მეორეს ჩაუნერგოს თანაგრძნობა, მეორეს პასუხი გამოაცემინოს. აქ, ამ ჭიდილში ძალდატანებაზე კი არ არის საქმე, აქ რაიმე ხერხიანობასა და გაიძვერობას კი არა აქვს ადგილი—აქ თანასწორი ბრძოლაა ერთისა და იმავე გრძნობის, სურვის, აქ თანასწორი იარაღით სარგებლობენ: თვალებით, თვალების უხილავის ძალით, გრძნობის იდუმალის მისწრაფებით, რომელიც ელექტრონივით გაურბის სხეულში ურჩ სატრფოს (მაყვალა,

---

*) იხ. „დროება“, N 183.

თინოვები, რომელთაც მამედ-ხან-ჯალ-ოღლისთვის ჯიბიდან ფული მოუპარავთ. ქურდობისათვისავე დააპატიმრეს ამავე დღეს მესროფ ავეტისოვი და ავაქ აშიროდიანცი. „შვეიცარიის" სასტუმროს პატრონისათვის სისტემატიურად უპარავს ნივთები გეურქ სურენიანცს, სურენიანცი დააპატიმრეს.

◆ 19 აგვისტოს დააპატიმრეს რაჭის მაზრის მცხოვრები ალექსანდრე სოხაძე, რომელიც სოლომონ ბექანაშვილის პასპორტით სცხოვრობდა.

# მოწერილი ამბები

**ახალციხე**. ჩვენში კალოობა გათავდა. ჭირნახულის გამოსავალი წელს საშუალო იყო, მაგრამ ბზე ძალიან ნაკლებია. წრევანდელმა გვალვებმა ბალახი ერთიან მოსწვა და მთებზე თივა მოსპო. გლეხს ძალიან გაუჭირდება ზამთარში საქონლის გამოკვება და უეჭველად ნაწილი საქონლისა უნდა გაჰყიდოს. ხილიც ნაკლებად არის აქეთ. წელს პურის ფასმა შეიძლება დაიკლოს შარშანდელთან შედარებით, რადგან ჯავახეთში კარგი მოსავალია. იქ მკა თავდება და კალოებსაც მალე შეაბმენ.

გავლილ კვირებში ტფილისის დრამატიულმა დასმა, როგორც აქ, ისე აბასთუმანში, გამართა წარმოდგენები. ორგანვე ითამაშეს „სიძე-სიმამრი". აქ აიღეს 103 მან. და აბასთუმანში—135 მან. რასაკვირველია, ხარჯის გამორიცხვის შემდეგ არაფერი დარჩებოდათ. 7 მარიობ. გვესტუმრა, ბ-ნი ილ. აბაშიძე და გამართა კონცერტი, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო; როგორც გაიგეს, 44 მან. შემოსვლია. ეს ხომ ხარჯსაც არ ეყოფოდა. იმ დამესვე აბასთუმანს წავიდა.

აბასთუმან-ბორჯომს შუა, ახალციხეზე, ავტომობილებმა დაიწყეს სიარული. როგორც გადმოცეს, ბორჯომიდან ახალციხემდე (76 ვერსია) ავტომობილი 2 საათს ანდომებს გზას. ხოლო ახალციხიდან აბასთუმნამდე (25 ვერ.)—ერთ საათს. ბორჯომიდან ახალციხემდე 3 მან. და აბასთუმნამდე 5 მან. ახდევინებენ მგზავრებს. ეს გადასახადი ცოტა დიდია, მაგრამ, მგონია, შემდეგში დაუკლებენ. ავტომობილს სამ გზაზე ხშირად ემართება მარცხი: ხან ღოდებს ეჯახება თურმე, ხან ეტლებს და ხან ტელეგრაფის სვეტებს.

ამას წინად გწერდი, საბოლოოდ გადასწყდა, რომ ახალციხეში გიმნაზია დაარსდეს-მეთქი. ქაღალდი ამ ჟამად სამოსწავლო ოლქის მზრუნველთანაა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გიმნაზია ამ ენკენისთვიდანვე გაიხსნება.

**ქ. გვარამაძე.**

—

**ბელაგორი**. წინად აქ არსებობდა ბიბლიოთეკა. რეაქციის გამეფების დღიდან მან სული განუტევა და დღესაც განისვენებს. გაზეთებში ბევრჯელ იყო აღნიშნული მისი უნუგეშო მდგომარეობა, მაგრამ თანამგრძნობელი მაინც არავინ სჩანდა. აკაკის იუბილეის დროს, როგორც იქნა, აღიძრა საკითხი ამის შესახებ და საიუბილეიო კომიტეტმა დაადგინა, მგოსნის სახელზე დაარსებულიყო ბიბლიოთეკა. ამორჩეულ იქნა კომისია, რომელიც მაშინვე შეუდგა მოვალეობის შესრულებას. მიმართა წ-კ. საზოგადოებას ნებართვის აღების შესახებ და იმედიც მიიღო. მას აქეთ რამდენიმე თვემ გაიარა, მაგრამ ნებართვის მოსვლას ვეღარ მოვესწარით. ეხლა კომისიამ უნდა ეგირილის წ-კ. საზოგადოების განყოფილებას მიმართოს და, იმედია, ეს მაინც აღძრავს შუამდგომლობას. აქაურ ბიბლიოთეკას ბლომად მოეპოვებოდა ქართულ-რუსული წიგნი, მაგრამ რევოლიუციის დროს სადღაც გაიფანტა და დღესაც არა სჩანს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს წიგნები არ დაიკარგება, ვისაც წაღებული აქვს, ისევ დააბრუნებს.

9 აგვისტოს აქ ადგილობრივ საზოგადოების ყრილობაზე გაირჩა საკითხი ფოსტისა და სასამართლოს დაარსების შესახებ. რადგან ბევრ ხარჯს არ იწვევს მათი დაარსება, ამისათვის ხალხმა სურვილი განაცხადა.

ს. სარგვეში, რომელიც ათი ვერსის მანძილზეა ბელაგორიდან, სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „ფული და ხარისხი", „შკუისა მჭირს" და „გეურქადა და შანტაჟისტები". როლები ყველამ კარგად იცოდა. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენის გათავების შემდეგ ხალხმა მადლობა გადაუხადა სცენის მოყვარეებს.

„დროების" მე-170 ნომერში მოთავსებული იყო ჩემი წერილი, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნული მქონდა, თუ როგორის უზრდელის სიტყვებით მოიხსენია გაზეთი „დროება" ვაჭარმა აფრასიონ ებანოიძემ. „ჩანგის" მე-33 ნომერში იგი თავს იმართლებს ჩემს წერილს სიყალბედა სთვლის და უნდა, რომ ფონს გავიდეს. სიმართლის აღსადგენად ვსთხოვ მხოლოდ იმ პირებს, რომელნიც იმ დღეს იქ იყვნენ და მოწამენი არიან ჩემ მიერ აღნიშნულ ფაქტისა, გადაათვალიერონ როგორც ჩემი წერილი, ისე ბ-ნ აფ. ებანოიძის პასუხი და შემდეგ ამცნონ მკითხველებს საქმის ნამდვილი ვითარება. არ იქნება ურიგო მისი წერილის მინაარსიც გავაცნოთ მკითხველებს: „ბელაგორის ბუფეტში მე და მღვდელმა ალ. არევაძემ ვიკითხეთ გაზეთი „ჩანგი". ამ გაზეთის ხსენებამ ერთ იქ მყოფ ყმაწვილ კაცს ბრაზი მოჰგვარა (?) და წამოიძახა: „რას ჰქვიან „ჩანგი?!" აი, „დროება" და წაიკითხეთო". მე განუმარტე რომ „ჩანგი" ჰქვიან ერთ-ერთ მემარცხენე გაზეთს და ნუ თუ ამ გაზეთს ბელაგორში არავინ იწერს. საქმე ასე გახლდათ და ბ-ნ „რისხვას" კი მოლანდებია, ვითომ მე პარტიულის მიზნით მომეთხოვოს ხსენებული გაზეთი და სხვა. სიმართლეც ასეთი უნდა! **რისხვა.**

# სპარსეთი

### რუსის ჯარი რჩება ყაზვინში.

რუსის ჯარისთვის ყაზვინში საზამთრო ყაზარმებს აშენებენ; ამას გარდა აშენებენ საავადმყოფოს, რომელშიაც ასი საწოლი დაიდგმება.

### რუსის კონსულის განცხადება.

რუსის კონსულმა ყაზვინში გამოუცხადა ყველას: რუსეთის, სხვა სახელმწიფოებისა, თუ თითონ სპარსეთის ქვეშევრდომებს, რომ ამიერიდან ყველა საქმეზე რუსეთის საკონსულოს უნდა მიჰმართოთ ხოლმეო.

### რუსეთის ახალი ელჩი.

რა წამს შაჰად ნამყოფი მამედ-ალი სპარსეთს მიატოვებს, რუსეთის ახალი ელჩი პოკლევსკი-კოზელი თეირანში წავა და ახალ სპარსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას გაჰმართავს რუსეთისთვის დიდად მნიშვნელოვან საგნებზე.

ინსტრუქციის თანახმად, ელჩი უმთავრესს ყურადღებას მიაქცევს რუსეთის ვაჭრობის აღორძინებას სპარსეთში.

ამასთანავე ამბობენ, რომ სპარსეთის ახალი მთავრობა მალე 100 მილიონ მანეთს ისესხებს. რუსეთი და ინგლისი უკვე დაჰპირდნენ ამ ფულის სესხებასო.

### სპარსეთის საგანგებო დესპანები.

მომავალ ოქტომბერში პეტერბურგში მივლენ სპარსეთის საგანგებო დესპანები.

### როდის გაიხსნება მეჯლისი.

სპარსეთის ახალი მეჯლისი გაიხსნება მომავალ ოქტომბრის დამდეგს.

### რეაქციონური მოძრაობა.

„რუს. სლ."-ს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: თეირანის ქუჩებში ბევრი შეიარაღებული ხალხი ჩანს. საღამოობით პატრულები ჯვარედინად ქუჩებზე სასტიკად გამოჰკითხავენ ხოლმე გამვლელ-გამომვლელებს. ღამის პაროლს (სიტყვას, ნიშნავს) როდი-ღა უმღავნებენ კერძო პირებს. ღამით არავინ ჩანს ქუჩებში. მთავრობა უფრო ბეჯითად ადევნებს თვალ-ყურს ქალაქს, რადგან ბოლოს დროს გაძლიერდა რეაქციონური მოძრაობა. ფიდაებმა დაატუსაღეს ერთი სეიდი (მაჰმადის ჩამომავალი), რაჰიმ-ხანის მიერ ყარადაღიდან გამოგზავნილი. ისპაჰანში შეიხი მორტულა-რეზა აგიტაციას ეწევა და ფანატიკოსებს აქეზებს, აჯანყდით, სიკვდილით დასჯილ შეიხ-ფეზლულასთვის შური იძიეთო.

თეირანში საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს მრავალი უსახელო წერილი მოსდით მუქარით, რომ თუ ისე არ მოიქცევით, როგორც ჩვენ გეტყვით, სჯობია სამსახურიდან გადადგეთო. რადიკალური გაზეთი „ახალი ირანი" სწერს, რომ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეების მუშაობას ხელს არავინ არ უნდა უშლიდესო. ეტყობა, ეს წერილები საიდუმლო ორგანიზაციების საქმე უნდა იყოს. დროებითმა მეჯლისმა დაადგინა: რადგან სპარსეთში სიტყვისა, კავშირისა და კრების თავისუფლება არსებობს, საიდუმლო ორგანიზაციის არსებობას არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს, ამიტომ მათი წევრები უნდა დაატუსაღოს პოლიციამო.

### უარი მემკვიდრეობაზე.

14 აგვისტოს სიკვდილით დასჯილ შეიხ-ფაზლულას ვაჟი-შვილმა მახდიმ შემდეგი გამოუცხადა დროებით მეჯლისს:

„მთელმა სპარსეთმა იცის, რომ მე დიდი ხანია დავშორდი განსვენებულს მამაჩემს. ამას გარდა, მე ვიცოდი, საიდანაც გამდიდრდა ასე მალე მამაჩემი. მის სიკვდილით დასჯის შემდეგ დიდი სიმდიდრე დამრჩა. ჩემს ნათესავებს მაინც დღესაც ასე ჰგონიათ, რომ ჩემზე მდიდარი კაცი მთელს სპარსეთში არავინ იყოს.

გიცხადებთ თქვენ, ხალხის წარმომადგენლებს, რომ მამიჩემის მემკვიდრეობიდან ერთი გროშის მიღებაც არა მსურს. უარს ვაცხადებ აგრეთვე მამიჩემისგან შეძენილ მთელ უძრავ ქონებაზედაც და მისგან დარჩენილ მემკვიდრეობას ვსწირავ მეჯლისს. ამისათვის როგორც მოწყალებას ვსთხოვ ხალხს, რომ სიკვდილით დასჯილ შეიხ ფეზლულას შვილად აღარ ჩამთვალოს".

### შაჰის ახალი აღმზრდელი.

შაჰის ახალი აღმზრდელი ჰაჯი-მირზა-მამედ-ალი-საიახი ცნობილი სპარსელი პროგრესისტი მოღვაწე და მოგზაურია (საიახ—სპარსულად ჰნიშნავს მოგზაურს).

ჰაჯი-საიახი შვილია სოფელ მალალატის ღარიბ მოლისა; ამ ჟამად 72 წლისაა. ბავშვობიდანვე დიდს ცნობისმოყვარეობას იჩენდა იგი. მან ჭაბუკობის დროსვე მოიარა სპარსეთის დიდი ქალაქები და წმიდა ადგილები და გაიცნა იმ დროის გამოჩენილი პირები. 20 წლისამ ჩუმად მიატოვა თავის მამის სახლი და კავკასიით ევროპაში წავიდა იქაური ცხოვრების გასაცნობად, ხოლო უმთავრესად „ზნეობრივად სრულ ადამიანის საპოვნელად". ევროპაში ღარიბი ჰაჯი-საიახი დიდ გაჭირვებას ითმენდა და ბევრჯელ შავ მუშაობით ირჩენდა ხოლმე თავსა. მან 18 წლის განმავლობაში უგროშ-კაპეიკოდ მოიარა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნები; მან მოიარა ევროპა, ამერიკა, აზია და ავსტრია. მოგზაურობის დროს გაიცნა გარიბალდი, ბისმარკი, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე და შვეციის მეფე ოსკარი, რომელთანაც დიდხანს ჰქონდა მიწერ-მოწერა. პარიზში მან გაიცნა ერნესტ რენანი, ვენაში—პროფესორი ვამბერი, მოსკოვში—აკადემიკოსი კორში და სხვანი. 18 წლის მოგზაურობის შემდეგ, ბომბეიში (ინდოეთში) მან გაიგო თავის მამის გარდაცვალება და შინ დაბრუნდა. თეირანში იგი წარუდგინეს ნასრ-ედინ-შაჰს. ჰაჯი-საიახი გაბედულად, მკაცრად ჰკიცხავდა ნასრ-ედინ-შაჰის მმართველობას, თვით მას მინისტრების წინ და ამით მან ყველა განათლებულ სპარსელის ყურადღება მიიზიდა. მის გარშემო თავი მოიყარეს პროგრესისტებმა, მაგალითად: მირზა-სეპეხდარმა, ამონედ-დოულემ, მალკომ-ხანმა და მრავალმა სხვამ. ჰაჯი-საიახის თხოვნით სპარსეთში მოვიდა ცნობილი ორატორი ლიბერალი სეიდ-ჯამალ-ედდინ-აფგანი, რომელთან ერთად საიახმა აგიტაცია გამართა ნასრ-ედინ-შაჰისა და [illegible] ბის წინააღმდეგ. მალე ორატორი ჯამალ-ედ-დინი [illegible] რსეთიდან, ხოლო ჰაჯი-საიახი ჩასვეს ყაზვინის საპატიმროში, სადაც იგი სრულ 22 თვეს ჯაჭვებით იყო შეკრული და ძლივ-ძლივობით გადარჩა სიკვდილს. ჰაჯი-საიახი პირველი სპარსელი იყო პოლიტიკურ რწმენისთვის დატანჯული, მაგრამ ვერც ციხემ, ვერც დევნამ, ვერც მუქარამ ვერ გააჩუმეს ჰაჯი-საიახი; მან არ გასტეხა თავისი აღთქმა- ყოველნაირად ვეცდები მონა-სპარსელების ბედის გაუმჯობესებასო. ერთხელ ნასრ-ედინ-შაჰის ბძანებით საწამებლად წაიყვანეს. უნდოდათ მისი გამოტეხა და მის თანამოაზრეთა გვარების შეტყობა, მაგრამ ჰაჯი-საიახი აივნიდან გადახტა და მხოლოდ რაღაცა სასწაულით გადარჩა სიკვდილს. დაბრუნდა თუ არა იგი სპარსეთში, იქ დაიწყო განმანთავისუფლებელი მოძრაობა და არც ერთი პროგრესიული წრე არ დაარსებულა, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო, თუმცა ჰაჯი-საიახმა არც ერთ ორგანიზაციის მეთაურობა არ იკისრა: მას არ უნდოდა თავის გამოჩენა და პირველ როლის თამაშობა.

ევროპიელებმა და ევროპიელმა ელჩებმა თეირანში არა ერთხელ სთხოვეს ჰაჯი-საიახს ცნობები სპარსეთის ერის ცხოვრებაზე და არა ერთხელ ისარგებლეს მის რჩევით. მეჯლისის განადგურების შემდეგ შარშან ჰაჯი-საიახი დიდ ხანს იმალებოდა, მაგრამ რეაქციონერებმა ვერ გაბედეს მის ხელის ხლება. მათაც-კი პატივი სცეს ამ „სრულს კაცს",—ასე ეძახიან სპარსელები ჰაჯი-საიახს. იგი იმდენად თავ-დაბალია, რომ დღემდე არ დაბეჭდა თავისი თხზულება: „მოგზაურობის წიგნი".

და ეხლა ამ ღრმა მოხუცების დროს ჰაჯი-საიახმა მხოლოდ ხალხის ჭეშმარიტ მეგობრების თხოვნით იკისრა ასეთი მნიშვნელოვანი და პასუხის საგები თანამდებობა, როგორც შაჰის აღმზრდელობა. ეს პირველი ოფიციალური თანამდებობაა, რომელიც იკისრა ამ პატიოსანმა მხცოვანმა მოღვაწემ.

# ოსმალეთის ამბები

### აბდულ-ჰამიდი.

აბდულ-ჰამიდმა სთხოვა მთავრობას, ავადმყოფობის გამო ბინა გა-

---

ციცია, ციკო, მზალო). სიყვარუ- ლი გამაბედნიერებელი, დიდებული რძნობაა, სანეტარო და სასიხარულო და მთელი მისი სიმწვავე წარ- ომდინარეობს იქიდან, თუ მეორე წყვილი გულგრილია და პასუხს არ მეტებს. გასაოცარია ის, რომ ყაზ- ეგს თითქმის ყველგან მიჯნური გამარჯვებულად გამოჰყავს, რაც უნდა არ ეურჩებოდეს სატრფო, და ვინი ყოველთვის შეერთებულნი იან. მათ ბედნიერებასა და კმაყო- ილებას ხელს უშლის საზოგადოე- , ეს სასტიკი და ულმობელი და ანაც ბრიყვი და უვიცი კანონმდე- ელი, რომელიც მფარველობის მა- გიერ კაცს სიცოცხლის საუკეთესო მებს უზხამავს („მოძღვარი"), ანა ამ გრძნობას და მისგან შეერთე- ულთა ნეტარებას იგივე მტერი ავს „ახალ გამანადგურებელ ძალა- ", რაც მთელს მთას, მთელს სა- რთველოს იმ დროისას. აქ იტან- ება და წამებას განიცდის მთელი ზოგადოებრივი ორგანიზმი, რადა- მა უნდა, მასთან საერთო ფერხუ- ჩაბმულია ყველა წევრი გაუბე- ერებულისა და დამარცხებულის ზოგადოებისა („ციცია", „ციკო", ლგუჯა").

IV.

ყაზბეგს არ გამოჰპარვია არც ვა გვარი მოვლენა, რომელსაც ერთო სიყვარულთან არა აქვს რა რომელიც მარტო და მხოლოდ ნორმალური სქესობრივი გრძნო- , სქესობრივი მისწრაფება, რო- ლიც ბოროტმოქმედებას ჩაადენი- ერთს რწყვილს და მეორეზე ძა- ახმარებინებს. უღრისი და თვით არსებითი მხარე ამ გრძნობისა იმაში მდგომარეობს, რომ იგია შედეგი ორ არსის ხორცისა და სულის ნდომისა, სურვილისა და ნებისა, იგია კავშირი, რომელიც იკვრის ერთმანეთის სრულის თანხმობითა და სრულის თავისუფალის სურვილით. რასაკვირველია, შესაძლოა ორსავე მიჯნურს შორის პირველადვე არ გაიბას გრძნობათა მომხიბლელი ჯაჭვი, მაგრამ ბრძოლა შესაძლოა პატიოსანის იარაღითა და ხერხით, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საიდუმლო, დიადის ძალის გარეშე გამოაშკარავებამ—ეს ბრძოლა ისე უნდა მოხდეს, რომ ორი არსება თითქმის თავის და უნებურად შეეხოს ერთმანეთს, თითქმის თავის და წინაამდეგ ჩაეკვრას ერთმანეთს გულში. ხოლო ფიზიკურად ძალის მიტანა და უსუსტეს ელემენტის ძალით დამორჩილება უარყოფაა სიყვარულის გრძნობისა და ფიზიოლოგიურად ზიზღს უნდა იწვევდეს მრთელ, ძლიერ ადამიანში. ასეც ემართებათ გუგუას გინდ სულთის და ონისესაც. ამ ჯურის, ამ ფიზიოლოგიურის ბოროტმოქმედების გვარია ის ძალმომრეობითი დაკმაყოფილება სქესობრივის გრძნობისა, რომელსაც ნაჩალნიკი ასრულებს მზალოს შესახებ. აქ ნამდვილი ბრძოლა გაიჩაღა „კულტურის მოციქულმა" და, რასაკვირველია, სძლია, ისიც ბევრის ყაების შემდეგ, საბრალო ქალს...

მზალოს ჩქარა დაეტყო, რომ თან და თან ღონე აკლდებოდა და აშკარად კაცი სჯარბობდა. კიდეც რამდენიმე წუთი და დასუსტებული, ძლივსღა მსუნთქავი მეტის მღელვარებით, დაღალვით, ქალი აიყვანა ნაჩალნიკმა, მიიყრდნო გულზე და გამხეცებულმა დაუწყო ლოშნა. იმან მიიტანა ქალი იქვე მდგომ ტახტთან, რომელზედაც დასვა. აქ კიდევ რამდენჯერმე გაიბრძოლა მზალომ, მაგრამ ჩქარა ღონემიხდილი და თითქოს გულ-შემოყრილი გადაესვენა ტახტზე. სიხარულის ღიმილმა დაუმახინჯა ნაჩალნიკს დაობებული და გამშრალი ტუჩები და მხეცსავით მიჰვარდა მას.

ხოლო ცივილიზაციის მესვეურნი, ველურ ხალხის განმანათლებელნი მეორე დღეს მზალოს სასაკილოდ იგდებდნენ, „ელაზღანდარებოდნენ და ისეც მოწამლულს, გამაგებულს გულში, კიდევ საწამლავს ასხავდნენ: „რა ჰქმენ, გოგო, ნაჩალნიკმა ჩამოგართოვა ჩვენება?" („ელგუჯა", გვ. 72, 73).

აჰა, შეგინება და შელახვა ყოველ ბუნებრივის გრძნობისა იქ, სადაც სიამოვნება შესაძლებელია მხოლოდ ორივეს მხრით და ორივეს ერთსულობითა და ერთგულობით. ერთი სიამოვნებს მეორეს დამცირებისა და ტანჯვის ნიადაგზე... ეს მიჯნურობა იმას მიაგავს, რომლის შესახებ ჩვენმა უკვდავმა შოთამ სთქვა: „მას ერთსა მიჯნურობასა ჰქვიანნი ვერ მიხვდებიანო". აქ უბრალო ჟინი იყო მათის высокородие-ს და ამ ჟინს შესწირა მთელი სიცოცხლე ქალისა, ახადა ნამუსი, შეურაცხყო მისი ხორცი. თუმცა ყაზბეგის გმირები ამას ბევრად უფრო ადამიანურად ეკიდებიან, ვიდრე განათლებული ევროპიელი. მზალოს გაუპატიურებას ელგუჯასათვის ერთი ბეწოდიც არ შეუმცირებია მისგან გაღმერთებულის სატრფოს სიყვარული და პატივისცემა იმიტომ რომ მიჯნური, შეყვარებული მთიელი სრულიადაც არ უყურებს თავისს გრძნობის საგანს, ვითა ავეჯს, ან თეთრეულს, რომლის გაბინძურება და დასახიჩრება შეუძლიან ყოველნაირ ტალახს. მათთვის სატრფო წმინდა-წმინდათაა, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი დააბერებს". თუ კი მისი გული და მისი გრძნობა შეუცვლელად მტკიცეა, მას ვერაფერი შელახავს.

ყაზბეგს სხვა მაგალითიცა აქვს სქესობრივის ლტოლვილებისაგან გამოწვეულ ბოროტ-მოქმედებისა, რომელსაც ვითომ სიყვარულის სახელი ჰქვიან. და ამაზედა აქვს აგებული მთელი მშვენიერი მოთხრობა „მამის მკვლელი", რომელიც თან რუსების გაბატონების ხანასაც მშვენივრად ასურათებს. მოხევე ოთხოვარა გლახას ქალი ნუნუ შეუყვარდება მოხევე ყმაწვილ ბიჭს იაგოს. ნუნუ მოსწონს და, თუ გნებავთ, თავისებურად „უყვარს" გრიგოლის, ერთ იმ მოხევეთაგანს, რომელსაც ახალი დრო კარგად გამოეყენებინა: „იგი ხელმწიფის სამსახურში არის ჩაფრათა, **ყველაფერით შემწეობა შეუძლიან**". ასე ამბობდნენ მაზე მისგან დაშინებულნი.

მაგრამ გრიგოლას ცოლი ჰყავს, მაშასადამე, ნუნუს შერთვა არ შეუძლიან, სიყვარულით კი, კარგად იცის, იაგო უყვარს. მაგრამ გრიგოლასა ჰყავს ძმა ნინია, რომელსაც უყვარს (ამას კი ნამდვილად) ნუნუ. თავის გავლენის შემწეობით და ნუნუს ბიძა-ძალუას დახმარებით, გრიგოლა შეიტყუებს, ძალით გადასწერს ჯვარს ნუნუსა და ნინიას, იაგოს კი ტყუილ-უბრალოდ და უმიზეზოდ დიამბეგს დააჭერინებს და ციხეში ჩააგდებინებს. გრიგოლა პირველისავე შემთხვევით ისარგებლებს და ძალით გააუპატიურებს ნუნუს; ნუნუ კინაღამ თავსაც არ დაიხრჩობს ამის გამო. იაგო საპატიმროდან გაიქცევა. შამილის ომშიაც კი მიიღებს მონაწილეობას. ნუნუს მამასთან გაიტაცებენ იაგოს მეგობრები ძაუგში. იაგო ჩამოვა აქ და იმედი აქვს თავის სატრფოს შეეყაროს. მაგრამ გრიგოლა გაიგებს ამას და იაგოს თავისის ამხანაგებით დუქანში გამოაწვევინებს. თითონ კი ჩუმად თავს გაუჩეხს გლახას, ნუნუს მამას, და ნუნუს გადააბრალებს. სიკვდილის პირზე, აღსარების დროს, იგი ამას ასე თავისებურადა ჰხსნის, რომელიც რასაკვირველია, ფსიხოლოგიური ჭეშმარიტებაა:

> მე მინდოდა ორივე მომეკლა... მაგრამ ვიფიქრე... ერთის წუთის წვალება განა გადაჰხდიდა მთელი სიცოცხლის სატანჯველს?.. **მე მიყვარდა ნუნუ... ო ო, როგორ მიყვარდა... იმან უარმყო, იმან სხვა ირჩია ჩემს თავს...** მე თავ-მოყვარე, **თავ-მომწონე ვიყავ..** ველარ გაუძელ სატანჯველს... მაშინ... მაშინ ვიფიქრე, რომ მამა... მამა მომეკლა... გამოვპარულიყავ და იმის სიკვდილი ქალისთვის დაებრალებინათ... იმას გაეწვალებდნენ, გასტანჯავდნენ, და მე მეგონა—ეს დამაკმაყოფილებდა...

ნუნუს გაასამართლებენ, მაგრამ იგი ტანჯვა-წამებაში დალევს სულს. გრიგოლასა და დიანბეგზედ კი იაგოს ძმად გაფიცული კობა იძიებს შურს და დასჭრის მათ სასიკვდილოდ.

ახლა ვნახოთ, რა სახით გამოიხახება გიგოლას სიყვარული. ჯერ იგი ნუნუს ზიზღისაგან გულმოკლულ საწყალ ნინიას აქეზებს ყოველგვარ ძალმომრეობასა და სიბინძურეზე, რაღაც უცნაურად გაშმაგებული, რაკი იცის რომ ნუნუას იაგოს მეტი არავინ უყვარს და ეს ძალით მომქმედნი კი მარტო ზიზღს იწვევენ მასში. ხოლო როცა ერთხელ ნინია სამწყსურში გაისტუმრა, თვითონ შეუდგა ნუნუს დამორჩილებას და, რასაკვირველია, ბინძურ საშუალებებს მიმართა: „ღთის მადლმა, **მიყვარხარ და არცვის არ დაგუთმობ შენს თავს**... ჩემი ძმის სიკვდილიც რომ დამჭირდეს, იმ ხანჯალს ტარამდინ ჩავუსვამ გულში და იმასაც არ დაგანებებ." გრიგოლასაც მძაფრი გრძნობა ალაპარაკებს, მან უღალატა თემის ჩვეულებას, სარწმუნოებას, კანონს იმის სიყვარულით. „ძმაც შენი გულისთვის დავკარგე, ქვეყანასაც შენთვის გამოვაკლდიო", გაიძახის ის. მაგრამ მის გრძნობას აკლია კეთილშობილება, აკლია შეგნება, ვერ გაუგია, რომ არ არის გრძნობის დაკმაყოფილება იქ, სადაც არ არის ურთიერთობა, ვერ გაუგია, რომ, ნეტარების მაგიერ, სამსალაა იქ, სადაც ურთიერთის სიყვარულის მაგიერ, ერთის მხრით ზიზღია. იგი დამახინჯებულის გრძნობას გამომხატველია, ამიტომაც ნუნუში ვერავითარს თანაგრძნობას ვერ იწვევს. თვითონაც რაინდულის, თავმოსაწონი ბრძოლის მაგიერ ფიზიკურ ძალას მიმართა და გამართა ქალისაკენ, რათა სუსტი ქმნილება დაემორჩილებინა. ქალმა სირცხვილზედ შეავდო, მაგრამ გიგოლა უკვე გაპირუტყვებული იყო:

მომიცვალეთო. მთავრობამ უარი უთხრა.

### ნორადუნგიანის სამსახურიდან გადადგომა.

როგორც ვიცით, საზოგადო საქმეთა მინისტრი ნორადუნგიანი თანამდებობიდან გადადგა. ამბობენ, მისი გადადგომა ახალგაზდა ოსმალთა პარტიამ მოითხოვაო.

### ამერიკელი კაპიტალისტები ოსმალეთში.

დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ ამერიკელ კაპიტალისტების საზოგადოება რკინის გზების გაყვანას აპირებს მცირე აზიაში და ამისთვის კონცესიას სთხოვს ოსმალეთის მთავრობასო.

ანატოლიის რკინის გზა ამ ჟამად მიდის მხოლოდ ქალ. ანგორამდე. ამერიკელებს უნდათ ეს გზა სივახსა და ხარაფუტზე ქალ. ვანამდე (ვანის ტბის ნაპირზეა) მიიყვანონ. ეს გზა დაჯდება 20 მილიონ გირვ. სტერლინგად. ამერიკელი კაპიტალისტები ოსმალეთის მთავრობას სთხოვენ: დახარჯულ თანხის 5 პროცენტის გარანტიას და იმ ვილაეთების შემოსავლის ათის თავს, რომლებზედაც გაივლის გზა. ამას გარდა ისინი თხოულობენ იმ მადნების ექსპლუატაციის უფლებას, რომლებიც აღმოჩნდება ოცი კილომეტრის მანძილზე გზის ორსავ მხარეს მთელ მის სიგრძეზე. როგორც ეტყობა, ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდება ამ პირობებს.

მეორე ამერიკელი საზოგადოება ცდილობს კონცესიის აღებას რკინის გზის გასაყვანად ალექსანდრეტადან (ხმელთა შუა ზღვაზეა) ალეპომდე და ეფრატის სათავემდე.

ამას გარდა ამერიკელები ცდილობენ მიიღონ სტამბოლსა და ოსმალეთის სხვა ქალაქებში ტელეფონების გამართვისა და ექსპლუატაციის კონცესია.

ამერიკელებმა შემდგინეს აგრეთვე პროექტი, რკინის გზა გაიყვანონ იემენში (არაბეთში) ხოდეიდიდან სინამდე. ამ რკინის გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება ოსმალეთისთვის, რადგან არაბეთში მუდმივი არეულობაა. ეს პროექტი უკვე მოიწონა ოსმალეთის პარლამენტმა.

სამხედრო საქმის მცოდნე, „რუსკ. სლოვო"-ს თანამშრომელი ბ-ნი მიხაილოვსკი ამტკიცებს, რომ ამერიკელ კაპიტალისტების მიერ განზრახულ რკინის გზებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებათ: ამ გზების წყალობით ოსმალეთს ძლიერ გაუადვილდება რუსეთის საზღვარზე ჯარის მოყვანაო. ამიტომ რუსეთმა დროზე ყურადღება უნდა მიაქციოს კავკასიის საზღვრების დაცვას და ერთად-ერთ რკინის გზის გარდა, კავკასიაში სხვა რკინის გზებიც გაიყვანოს, თორემ უამისოდ რუსეთს ძლიერ გაუჭირდება ომის დროს საკმაო ჯარის მიყვანა ოსმალეთის საზღვარზეო.

### ახალგაზდა ოსმალები და პოეტი მიცკევიჩი.

„ერთობისა და პროგრესის" კომიტეტმა უკვდავჰყო დიდებულ პოლონელ ეროვნულ პოეტის მიცკევიჩის ხსოვნა.

იმ სახლის კედელზე, რომელშიაც გადაიცვალა მიცკევიჩი, სტამბოლის ერთ-ერთ ქუჩაზე მიაკრეს ბრინჯაოს ფიცარი ზედ-წარწერით ოსმალურს ენაზე: „აქ გარდაიცვალა დიდებული პოეტი ადამ მიცკევიჩი, ოსმალეთის მეგობარი.—ერთობისა და პროგრესის კომიტეტი.

ჯერ პანაშვიდი გადაიხადეს კათოლიკეთა ტაძარში, სადაც შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა პოლონელმა მღვდელმა.

პანაშვიდს დაესწრნენ „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელნი, „მაჰმადის ჩამომავალი"—მუსულმანთა სულიერი მწყემსი, ოსმალელ სტუდენტობის წარმომადგენელნი, ებრაელთა დელეგატები, მრავალ ორგანიზაციის წევრნი, სულთნის გვარდიის უფროსი ხალილ-ბეი, მიცკევიჩის მეგობარი—იბრაჰიმ-ფაშა, სპარსელთა ენჯუმენის მეთაური სეიდ-იალი, ცნობილი სიონისტი დოქტორი სოკოლოვი, ოსმალელი აფიცრები, კათოლიკეთა ბერები, იმამები, ფრანგები, პოლონელები და სხვანი...

ტაძრიდან მთელი ეს მრავალ ფეროვანი ხალხი გაემართა მიცკევიჩის სახლისკენ. გზაში პროცესიას დიდ ძალი ხალხი მიემატა.

პოლონელ-ოსმალთა მანიფესტაცია შედგა ტრიბუნას წინ, რომელიც გამართული იყო კომიტეტისა და პოლონელთა ორატორებისთვის.

ტრიბუნას ახლო მუსულმანთა ჯერ მსხვერპლი შესწირეს—ცხვარი დაკლეს. მერე ტრიბუნაზე ავიდა უნივერსიტეტის პროფესორი—ჰასან-ეფენდი, რომელმაც ასწერა მიცკევიჩის ღვაწლი კაცობრიობისა, პოლონეთისა და ოსმალეთის წინაშე.

დანარჩენი ორატორებიც ადიდებდნენ მიცკევიჩს, როგორც მებრძოლს ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისთვის და იმ იდეალების მქადაგებელს, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილი განხორციელდა ოსმალეთშიო. დასასრულ წაიკითხეს მოსასალმებელი დეპეშები ოსმალურსა, ფრანგულსა და პოლონურს ენებზე, სხვა და სხვა ადგილებიდან მიღებული. („რ.")

# უცხოეთი

### ავსტრო-რუმინიის კავშირი.

პარიზში სარწმუნო ცნობა მიიღეს, რომ ავსტრია სამხედრო პირობით შეეკრა რუმინიასო. ამ შეთანხმების მიზანს საიდუმლოდ ინახვენო.

### მოძრაობა ჩინეთში.

ინგლისურ გაზ. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი ირწმუნება, რომ ჩინეთში დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობაა, საზოგადოება თუ პრესა გულ-მოდგინედ თხოულობს რეფორმებსაო.

# რუსეთი

◆ **ხოლერა და გლეხები.** „რეჩ"-ს პსკოვიდან დეპეშით ატყობინებენ: სოფელ ლისიის გლეხებს ხოლერიანთა საავადმყოფოს დანგრევა მოინდომეს. ამავე სოფლის გლეხებმა ექიმს წინააღმდეგობა გაუწიეს, ჩვენ სოფელში არ შემოგიშვებთო, წესიერება საერობო დარაჯებმა დაამყარეს.

◆ **პოლონეთში.** „ვარშავ. „დნევ."-ი იუწყება, საერო განათლების მინისტრის ნება-რთვით მომავალ სამოსწავლო წლიდან ქალთა უმაღლესი კურსები გაიხსნებაო. კურსებს ხსნიან ადგილობრივ უნივერსიტეტის პროფესორები.

ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით ქალაქ პეტროკოვში დაუხურნიათ ქალთა და ვაჟთა კომერციული კურსები. კურსებზე სადამოთი სწარმოებდა სწავლა. კურსებს ინახავდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც წელიწადში თავის ნებით 10—20,000 მანეთს იხდიდნენ. კურსებს ძალიან ეტანებოდა და დახურვის დროს სწავლობდა 900 ქალი და ვაჟი. გასაკვირველი ის არის, რომ არავინ არ იცის რა დანაშაულობა მიუძღვის კურსებს. თვით მზრუნველის განკარგულებაში არ არის ნაჩვენები, რა იყო მიზეზი, რომ 900 ქალი და ვაჟი კურსებს გარეშე დასტოვეს.

◆ **იაპონელები და ჩრდილოეთ მანჯურია.** „ნოვაია ჟიზნი"-ს (ხარბინში გამოდის) სიტყვით, ამ უკანასკნელ დროს იაპონელები ძალიან დაინტერესებულან ჩრდილოეთ მანჯურიით. ყოველ დღე მანჯურიაში აუარებელი იაპონელები ჩამოდიან თურმე, სწავლობენ გზებს, იკვლევენ ადგილობრივ მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებას, იღებენ სხვა და სხვა სურათებს, ერთის სიტყვით, ყველაფრით არიან დაინტერესებულნი. საინტერესო ის არის, რომ იაპონელები სამშობლოში დაბრუნებისას მართავენ ლექციებს და თავიანთ თანამემამულეთ აცნობენ მანჯურიას და მის მცხოვრებლებს.

◆ **ეს რა წესია?!** „კიევსკ. მისლი" შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: ქალთა ადგილობრივ გიმნაზიაში მაისის ეგზამენების გათავების შემდეგ იმ მოწაფეებს, რომლებსაც ორები ჰყავდათ, პედაგოგიურმა საბჭომ გამოუცხადა, მარიამობისთვეში უნდა ხელ-მეორედ დაიჭიროთ ეგზამენები, ამასთან ვისაც ორი „2" გყავთ, იმათ როგორც ექსტერნებმა, დანარჩენებმა როგორც გიმნაზიის მოწაფეებმა. მარიამობისთვის ეგზამენები დანიშნული იყო 14 აგვისტოს. მოწაფეები სულ ჩამოვიდნენ. მაგრამ დახეთ უბედურებას... პედაგოგიურმა საბჭომ ეგზამენებზე ისეთი მოწაფეები დაუშვა, რომლებსაც ორ-ორი „2" ჰყავდათ, დანარჩენებს-კი უარი უთხრა. საწყალმა მოწაფეებმა აღარ იციან რა ჰქნან, უკვირთ პედაგოგიურ საბჭოს საქციელი, „ჩანს ისა სჯობნებია, რომ ორ-ორი „2" გვყოლოდაო". ალბად ჩანს, ვინ მიხვდება მთავრობის ბრძნულ განკარგულებებს!!

◆ **ტყუილი გამოდგა.** 19 ივლისს „გოლოს მოსკ." იუწყებოდა, რომ პეტერბურგში, კამენოოსტროვის პროსპექტზე პრემიერ მინისტრის სტოლიპინის მოკვლა უნდოდათო. ეს ამბავი ტყუილი გამოდგა, სტოლიპინის მოკვლა ამ დროს არავის არა სდომებია.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, მოსკოვში 1, რეველში 1, სამარაში 3, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, კავკავში 1, ეკატერინოდარში 2, სარატოვში 1, ოდესაში 1, ვარშავაში 2 კაცი.

◆ **ბურცევი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით ბურცევს პარიზის გაზეთებში დაუბეჭდნია წერილი, საიდანაც ჩანს, რომ ვინმე ზინაიდა იუშჩენკო-გერნგროსი პროვოკატორი ყოფილა. იუშჩენკოს 15 წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა პარტიებში უმუშავნია და თითქმის ყოველთვის მონაწილეობა მიუღია ტერორისტულ აქტების მოწყობაში. მასვე ჰბარებია ყუმბარების საწყობი და ყუმბარების გადატან-გადმოტანის საქმე. იუშჩენკო ერთ დროს ძალიან დაახლოვებული ყოფილა აზევთან.

◆ **სათვალეები და კრამოლა.** „ვეჩერში" ვკითხულობთ: მინსკის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი კრავჩუკი ქუჩაში შეხვდა ადგილობრივ ფოსტის მოხელეს ჟურავლევს. ჟურავლევს სათვალეები ჰქონდა გაკეთებული და ხელში ჯოხი ეჭირა.

— შენ ვინ ხარ? რიხიანად დაუყვირა უფროსმა ჟურავლევს.

— ფოსტის მოხელე გახლავართ, თქვენო აღმატებულებავ.

— როგორ ჰბედავ, რომ სათვალეები გაგიკეთებია.

— ბეცი გახლავართ, თქვენო აღმატებულებავ.

— ჯოხი რაღად გინდათ? საიდან შეითვისეთ ჯოხის ტარება?

— წამოეთრიე კანტორაში! და ფოსტის უფროსმა თან გაიყოლა ჟურავლევი. აქ კრავჩუკმა წაართვა ჯოხი ჟურავლევს, მხოლოდ სათვალეების ტარების ნება მისცეს და ეს იმიტომ, რომ ჟურავლევს კანტორაში 15 წელიწადი უმუშავნია.

— ვისაც-კი 15 წელიწადზე ნაკლები გიმსახურნიათ, არ გაბედოთ სათვალეების ტარებაო, გამოუცხადა მოხელეებს კრავჩუკმა. მეორე დღეს ის მოხელეები ვინც სათვალეებს ატარებდნენ, უსათვალებოდ მივიდნენ. ჯოხების ტარებას, რა თქმა უნდა, აღარავინ ბედავს.

◆ **პატარა სტატისტიკა.** 1908 წელს მთავრობას გაუყიდნია 708,767,113 მანეთის არაყი, აქედან წმინდა მოგება დარჩენიათ 509,298,677 მანეთი. მთავრობას სახაზინო არყის დუქნები და ქარხნები ჰქონია 50 გუბერნიებში. ჰქონია 2720 ქარხანა და 27,402 დუქანი. ამ წელს გაყიდულა 86,004,205 ბოთლი, ასე რომ თვითეულ სულზე 12 ბოთლი არაყი მოდის.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ვარშავში 3, მოსკოვში 1, უფაში 1, ოდესაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: კურსკში 1, რეველში 1, პეტერბურგში 1, იურიევში 3, ხარკოვში 1, ოდესაში 1 კაცი.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში დაგვიბეჭდოთ შემდეგი განცხადება.

რადგან ბევრნი გვეკითხებიან, საჭიროდ მიგვაჩნია ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის-მომწერნი, მდგომარე წლის პირველ ივლისიდან გამოვედით გაზეთ „ზაკავკაზიეს" რედაქციიდან და მას შემდეგ არავითარ მონაწილეობას აღარ ვიღებთ ამ გაზეთში.

„ზაკავკაზიეს" გამომცემელ ამხანაგობის წევრნი: **კ. პ. თუმანიშვილი, გ. ბ. გვაზავა, ა. თ. ყიფშიძე, ა. ხ. ლანგე, პ. ა გოთუა.**

(ზოგიერთ ექიმების შესახებ)

ზოგიერთ ჩვენებურ ექიმის „საქმენი საგმირონი" ბევრჯელ გამომჟღავნებულა საჯაროდ პრესაში, მაგრამ ჩანს, მათზე ეს სრულებით არა მოქმედებს და ისევ ძველებურად განაგრძობენ საქმეს და თანაც გულში გაიძახიან: ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა-კი ფქვასო. რათა ეს ცარიელ სიტყვებად არავინ ჩამოგვართვას, აი, დამამტკიცებელი ფაქტიც: ივლისის ბოლო რიცხვებში ქუთაისიდან 37 ვერსის მანძილზე მდებარე სოფელ დ—ში გახდა ავად ერთი ქალი. მახლობელნი დაფაცურდნენ და გააგზავნეს კაცი ქუთაისს - ექიმის მოსაწვევად. მაგრამ ქუთაისის ექიმებმა დაუწყეს კაცს გაჭრობა, ას მანეთ ნაკლებ არ შეგვიძლიან უდაბურ სოფელში წამოსვლაო (35 ვერსი მშვენიერი გზატკეცილით, ხოლო ორი ვერსი—საცხენე გზაა). დიდის თხოვნა-ვედრების შემდეგ, როგორც იყო, დაიყოლია ერთი ახალგაზდა ექიმი, მოურიგდა 70 მანეთად. ეტლი ავადმყოფის პატრონისა უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, მორიგებისამებრ მობრძანდა ბატონი ექიმი ავადმყოფთან დილის მეთერთმეტე საათზე, ინახულა ავადმყოფი ქალი, მისცა შესაფერი დარიგება, გამოუწერა წამლები და სადილის მირთმევის შემდეგ იმავე ეტლით დაბრუნდა ქუთაისს, მიიღო-რა გასამრჯელოდ 70 მანეთი. დიახ, 70 მანეთი ექიმს ერთ ვიზიტში 37 ვერსის მანძილზე—განა ლახვარივით არა გვხვდება მკითხველო, ეს სიტყვები! ერთი გვიპასუხონ ამგვარმა ექიმებმა, განა ჩვენი საზოგადოება იმიტომა ზრდით მაღალ სასწავლებლებში, რომ კურსების შემდეგ ყელში წაუჭირონ და დაახრჩონ?! სირცხვილია, სირცხვილი სხვა რომ არა ვთქვათ-რა!

**მ. მირიანაშვილი.**

26 მკათათვეს სურამის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გამართა რუსულ-ქართული წარმოდგენა და ბავშვების საღამო ადგილობრივ ქართულ-დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. საღამოს, წარსულ წლებთან შედარებით ხალხი ნაკლებლად დაესწრო.

მთელი შემოსავალი წარმოდგენისა და ბავშვების საღამოსი უდრის 174 მან. 52 კ., ხარჯი უდრის 111 მან. 24 კ., დარჩა 63 მან. 28 კაპ.

დიდ მადლობას ვსწირავთ ქ-ნთ მ. შალიბაშვილს, რომელიც ხელმძღვანელობდა ბავშვების საღამოს, ს. ორჯონიკიძეს, ელ. ავალიშვილისას, ვ. თუხარელს, ქ. კორძაიას, აზ. ბებიაშვილის, აიზაკუშ დათებოვს, კ. და ნ. მიქელაძეებს, ს. აბაშიძეს, ვ. მშველიძეს, კ. ხიდირბეგიშვილს, № ქიქოძეს და ბ-ნთ ბ. ძნელაძეს, რომელმაც [illegible] ბავშვებისთვის შემდგარ მომღერალ ჯგუფის მომზადებით, [illegible] თევზაძეს და [illegible].

გამგენი ვ. სავანელი, ლორთქიფანიძე, გ. შალიბაშვილი და ი. ქურდოვანიძე.

რაიდა სირცხვილისაა, ღვთის მადლსა? უპასუხა იმან და ურცხვად მიიკრა გულზედ... აღელვებულს გირგოლას ქალისთვის გაშმაგებით ჩაევლო მკლავებში ხელი და ისე ძალზედ უჭერდა, რომ ძვლებს ჰახჰახი გაჰქონდა. გირგოლას შეჰმუხვნილის **წარბების ძირითგან გაღუებულს ნაღვერდალსავით გამოიყურებოდნენ შესაზიზღი თვალები.** კბილებ მოჭერილი, ცხვირის ნესტოებ გაგანიერებული მძიმედ, მაგრამ ძალზე, ძლივსღა იქცევდა სულსა. იმას იმ დროს ყოველისფერი დაჰვიწყებოდა და მარტო ერთს **პირუტყვულს წადილს** დაემორჩილებინა, შეეპყრო.

შეხეთ, უშვერი გრძნობა სახესაც კი მანჰავს, თვალებს საზიზღრად ხადის და ამგვარის სახის პატრონის ადამიანისათვის, ყოველივე იმედია დაკარგული, რომ იგი ნამდვილად დაიმონავებს გრძნობით და სურვით ქალსა. ის მარტო ზიზღს იწვევს, მარტო ღრმა სიძულვილსა ჰბადებს.

გრიგოლამ მეორე ხელი მოჰხვია წელზედ, მიიკრა ახლო და აცახცახებულის, ნერწყვ მოსულის ტუჩებით საკოცნელად მიიზიდა; მაგრამ იმან მიახლოვება ვერ მოასწრო, როდესაც ცამ ძალზედ იჭექა და უსიამოვნო გოგირდის სუნი დატრიალდა; ეტყობოდა ახლო-მახლოს სადმე მეხი უნდა ჩამოვარდნილიყო.

ამ საზიზღრობის წინაშე თვით ბუნებაც კი ამხედრდა, რადგან ხედავდა თავის კანონების დარღვევას, ფეხქვეშ გათელვას, მაგრამ გაპირუტყვებულ კაცს ყოველივე დავიწყებოდა, გარდა თავის ჰირისა. გრიგოლამ ხელახლა ნუნუს

ძალზე მოჰხვია ხელები, ასწია გულშემოყრილი ქალი და შეიტანა ოთახში. მიიტანა საგებელთან, რომელზედაც დაასვენა, და დაუწყო გატაცებით კოცნა. ცოტა ხანს დამშვიდებული გირგოლა თითქო ისევ სიგიჟემ შეიპყრო და თავდავიწყებით, გაბრაზებით დაუწყო ალერსი... გულშემოყრილმა ნუნუმ, როდესაც გონს მოვიდა და თვალები გაახილა, დაინახა თავის მტარვალის სახე, რომელსაც მასხარად აეგდო-დაემცირებინა იმისი ყმაწვილი ქალობა, იმისი ნამუსი! (მამის მკვლელი, გვ. 112—114).

გირგოლამ კარგად იგრძნო, რომ ამგვარი აღსრულება წადილისა, არა თუ დაამებს და დაუცხრობს ალგზნებულს გულს, უარესად გააბრაზებს და გააბოროტებს. მან ვერავითარი კმაყოფილება, ვერავითარი სიამოვნება ვერ იგრძნო და მთელი სიცოცხლე შურისძიებაში გატარა: დაღუპა ძმაც, თავისი თავი და იაგო და ნუნუც, რომელნიც საბედნიეროდ და სამხიარულოდ იყვნენ ერთმანერთისთვის შექმნილნი.

ონისემაც მოჰკლა მაყვალა, მაგრამ მან მოჰკლა არა მაყვალა, არამედ ჩონჩხი მაყვალასი, მან მძორი მაყვალასი გახრწნას გადაარჩინა. ეს ბოროტმოქმედება, ეს კატასტროფა იყო შედეგი მისის თავგანწირულის, უსაზღვრო სიყვარულისა და საიდუმლოებით აღვსილის გრძნობისა, გირგოლამ არც კი მოჰკლა ნუნუ, სამარადისო სატანჯველი გაუჩინა, შურისძიებით, რატომ მე არ დამნებდა, მე არ დამაკმაყოფილაო. ონისე ერთგვარი აღმასრულებელია ბუნების ფატალურის მოვლენისა, გირგოლა დამარღვეველია ბუნებრივობის, გადამახინჯებულის გრძნობის იარაღია და უარმყოფელი სიმშვენიერისა და ცხოვრების ბედნიერებისა.

**კიტა აბაშიძე.**

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მუღნინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—154)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუხჰალტრო კურსები
## ნ. ვ. აბრაამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ.—5)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები
## ტ. მ. ფილოიანისა

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ არითმეტიკას; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ხალ.—3)

Высшая награда
Швейныя машины „Кайзеръ"

## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
## მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზე, ისე ნისიად თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მანქანებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილობას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოებულ ქარხნებიდან. მანქანები მაღალ ხარისხიანია და ბევრად უფრო გაუმჯობესებული „სინგერის კომპ."-ზე. [illegible]

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ცაგერი, ონი, აბაში, სენაკი, ზუგდიდი, ლანჩხუთი [illegible]

ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—б—65)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. ამლაძე.